ხელშეკრულება № 181
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ.ჭიათურა 27 ნოემბერი 2015 წელი

ა/ა/იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის №27 კომპლექსური სასპორტო სკოლა

/ორგანიზაციის დასახელება/

შემდგომში „დამკვეთად წოდებული, ა/ა/იპ ჭIათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის №27 კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორის ჯამბული ვაშაძის

წარმომადგენლის გვარი, სახელი, თანამდებობა/.

სახით, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ერთის მხრივ და
შ.პ.ს. „საპროექტო 2015“

/შემსრულებლის დასახელება/

შემდგომში „შემსრულებლად“ წოდებული, დირექტორის გიორგი გოგატიშვილის

/წარმომადგენლის გვარი, სახელი. თანამდებობა/

სახით. რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, მეორეს მხრივ დადეს წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების შესაბამისად მხარეები ასრულებენ ქვემოთ ჩამოთვლილ ვალდებულებებს: „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას შეასრულოს ა/ა/იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის №27 კომპლექსურ სასპორტო სკოლის ცენტრალური სპორტული კომპლექსის შენობის სახურავის შეკეთების ტექ. დოკუმენტაცია. /GVP 71322100/.

ა/ მიაწოდოს "შემსრულებელს" ზემოთ აღნიშნული საპროექტო-საძიებო სამუშაოების შესასრულებლად ყველა საჭირო საწყისი მონაცემები.
ბ/ უზრუნველყოს სამუშაოების დაფინანსება შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.

1.4. მხარეები ვალდებული არიან გამოყონ პასუხისმგებელი პირები მიღება-ჩაბარების ეტაპობრივ და საბოლოოდ დამთავრებულ სამუშაოთა აქტების, აგრეთვე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა იურიდიული ქმედების შესრულებისათვის.

II. ფასი და გადახდის პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროექტო-საძიებო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 540 ლარს. ანგარიშსწორება ხდება სამუშაოთა კალენდარული გეგმის მიხედვით

2.2. ხელშეკრულების ხელმოწერიდან „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ უხდის მთლიან სახელშეკრულებო ღირებულებას. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.

23. „დამკვეთს“ ეკალება დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, ყოველ გადაცილებულ კალენდარულ დღეზე „შემსრულებლის“ სასარგებლოდ დამატებით გადაიხადოს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0,2%.

III. ვალდებულებათა შესრულების ვადები და პირობები

3.1 ვალებულებით გათვალისწინებული სამუშაოს დამთავრების ვადაა 2015 წლის 10 დეკემბერი. „შემსრულებელს“ უფლება აქვს ვადაზე ადრე დაასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები.

3.2 სამუშაო ითვლება დასრულებულად მზადყოფნის აქტის არსებული წესით დამოწმების შემდეგ.

3.3 "შემსრულებელი" პასუხს აგებს მის მიერ გამოშვებული საპროექტო-საძიებო დოკუმენტაციის ხარისხზე.

3.4 ხელშეკრულების შესრულებლის დროს მხარეები ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით, ნორმატიული აქტებით და წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით.

3.5 სამუშაოს დამთავრებისას „შემსრულებული“ წარუდგენს „დამკვეთს“ ტექნიკური დოკუმენტაციის კომპლექტს და სამუშაოთა მზადყოფნის აქტს ხელმოსაწერად.

3.6 „დამკვეთი“ ვალდებულია ტექნიკური დოკუმენტაციის კომპლექტის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში მიაწოდოს „შემსრულებელს“ საპროექტო-საძიებო დოკუმენტაციის მზადყოფნის ხელმოწერილი აქტი, ან დასაბუთებული შენიშვნა დოკუმენტაციის მიუღებლობაზე

IV.ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევის საფუძველი

4.1. ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს ცალმხრივად.
4.2. „დამკვეთის“ მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც „დამკვეთი“ არ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებას.
4.3. „შემსრულებლის“ მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც „დამკვეთი“ არ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებას.
4.4. ხელშეკრულების დამრღვევი ერთი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების დარღვევის მიზეზებზე, საკითხის გადაუწყვეტობის შემთხვევაში ხელშეკრულების გაუქმება ხდება 30 დღის ვადაში.

V. მხარეთა პასუხისმგებლობის შესახებ

5.1. თავიანთი ვალდებულებების არასათანადო შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.2. მხარეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას წარმოქმნილი უთანხმოების აღმოსაფხვრელად მხოლოდ მოლაპარაკების გზით. უთანხმოების მოლაპარაკების გზით აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.
53. მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მხოლოდ მათგა დამოუკიდებელი მიზეზების. სტიქიური უბედურების ან სხვა ფორსმაჟორულ შემთხვევაში.

VI. საბოლოო პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაფორმებულია წერილობითი სახით და ძალაშია ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.
6.2 წინამდებარე ხელშეკრულება შეადგენს და სახავს სახელშეკრულებო პირობებსა და მონაწილე მხარეების ურთიერთგაგებას მასში აღნიშნული ყველა საკითხის მიმართ.
6.3 ხელმოწერილი ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების პირობების სრულ შესრულებამდე.

VII. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

7.1 იურიდიული მისამართის ან საბანკო რეკვიზიტის შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან 3 დღის ვადაში აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.

7.1 მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები:

„დამკვეთი“
ააიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის
გამგეობის №27 კომპლექსური სასპორტო
სკოლა
მისამართი:. ქ.ჭიათურა
ნინოშვილის ქ.№ 7
საიდენტიფიკაციო კოდი: 215611602
ანგ.№GE91BG0000000215086002

საქართველოს ბანკი
ააიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სკოლის
დირექტორი: ჯ. ვაშაძე

შემსრულებელი:

შ.პ.ს. „საპროექტო 2015“

მისამართი: ქ.ჭიათურა, ნინოშვილის ქ.№5ა

საიდენტიფიკაციო კოდი: 415593520
ანგ.№GE40BG0000000546423400

საქართველოს ბანკი
შ.პ.ს. „საპროექტო 2015 “-ის დირექტორი:
გ. გოგატიშვილი